



ბაზრის კვლევის მნიშვნელობა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

შესავალი და კვლევის მიზანი:

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციამ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი დააყენა ახალი გამოწვევების წინ. საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა საზოგადოებისათვის პრომის ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება. სწორედ ამიტომ, ეს პირობა წარმოადგენს აკრედიტაციის და ავტორიზაციის მიღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აუცილებელ ფაქტორს. პრომის ბაზარი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაზე. საგანმანათლებლო სივრცეში ახალი პირობები თდასუ - გან ითხოვს კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების ანალიზს. არსებულ სიტუაციაში აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტმა სისტემატურად შეისწავლოს პრომის ბაზარზე არსებული სიტუაცია, გამოავლინოს მისი განვითარების პერსპექტივები და დროულად შეიტანოს ცვლილებები შესაბამის მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა მოამზადოს სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ დამსაქმებელთა მოთხოვნებს. პრომითი ბაზრის კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა აღნიშნული მიმართულებით არსებული მდგომარეობა, გამოგვევლინა ძირითადი პრობლემები და კვლევის შედეგები გავვეთვალისწინებინა მიმდინარე და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის ძირითადი მეთოდებია - კონტენტ-ანალიზი, ანკეტური და ექსპერტული გამოკითხვები.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას აუცილებელი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ პირობებს: ახალი პროგრამის რეალიზაციის შესაძლებლობა, პროგრამის პოტენციალი, მისი ეკონომიკური ეფექტიანობა. პროგრამის აკადემიური ფასეულობა სულაც არ წარმოადგენს მისი კონკურენტუნარიანობის ერთადერთ კრიტერიუმს.

მნიშვნეოვანი კრიტერიუმები, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ პროგრამის უპირატესობებს ანალოგიურ პროგრამებთან, არის პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ეფექტურობა და საგანმანათლებლო პროგრამის მარკეტინგული უზრუნველყოფის ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის როგორც შინაარსობრივ, ასევე

მეთოდოლოგიურ ნაწილში შესული შესწორებები და დაზუსტებები მნიშვნელოვნათა აამაღლებენ საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციის ეფექტურობას. ისევე როგორც საგანმანათლებლო საჭიროებების ცვლილების ანალიზი, კურსდამთავრებულებთან უკუკავშირი უნდა წარმოადგენდეს საგანმანათლებლო დანერგულების მუდმივ საქმიანობას.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში მარკეტინგის კონცეფციის გამოყენება გულისხმობს:

1. პრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას (როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა რეგიონების - პირდაპირი კავშირის პრინციპი);
2. სასწავლო პროცესის ადაპტაცია ორი ტიპის ბაზარზე არსებული სიტუაციის შესწავლის საფუძველზე;
3. ამ ბაზრებზე მარკეტინგ-მიქსის მეშვეობით ზემოქმედება მათი საჭიროებების გათვალისწინებით უკუკავშირის პრინციპი.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირებისათვის სასურველია ჩატარდეს მარკეტინგული კვლევა, რომელიც მოიცავს რამდენიმე ეტაპს: - პოტენციური ბამსაქმებლებისათვის ანკეტის შემუშავება; ანკეტების დაგზავნა; - მიღებული შედეგების შეგროვება და ანალიზი; - სასწავლო გეგმის კორექტირება მიღებული შედეგების შესაბამისად; - საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტული შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან; - ცპეციალისტების მომზადების პროცესში დამსაქმებელ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მოდელის შემუსავება.

შედეგები და იმპლიკაციები:

კვლევის შედეგებმა მოგვცა საშუალება გამოგვევლინა იმ ძირითადი სამუშაოების ნუსხა, რომლებიც უნდა განხორციელდეს პრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების დადგენის მიზნით, დადგინდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა ფიზიკური რეაბილიტაციის საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიან პროგრამის მაგალითზე. ჩატარდა პრომის ბაზრის კვლევა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით. დადგინდა თუ რა მოთხოვნები არსებობს ბაზარზე ფიზიკური რეაბილიტაციის სპეციალისტებზე, თუ რა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მიიჩნევენ აუცილებელ წინაპირობად კვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დამსაქმებლები მზად არიან სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში. მათ ასევე გამოთქვეს მზადყოფნა სტუდენტებისათვის სპეცკურსების მომზადებისა და სემინატების ჩატარებისათვის, პრაქტიკისა და სტაჟირების ორგანიზებისათვის. გარდა ამისა, გამოკითხვისას ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს რამდენიმე სპეც-სასწავლო კურსი, რომელთა ჩართვაც, მათი აზრით,

სასწავლო პროცესში გაზრდის კვალიფიცირებული კადრების მომზადების ხარისხს და აამაღლებს მათ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

დასკვნა კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ შრომის ბაზრის მხოლოდ და მხოლოდ სისტემაური და სწორად წარმართული კვლევა იძლევა სრულფასოვანი, რეალურად მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესაძლებლობას.

როგორც წესი, ასეთი ტიპის კვლევებში ამონაკრები შედგება საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, სადაც უმაღლესი სასწავლების სპეციალიზაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ახალგაზრდა სეციალისტების დასაქმება. დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევის პროცესი გაცილებით გამარტივდება, თუ სასწავლების შესაბამის ქვედანაყოფს ექნება საკუთარი კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლების ნუსხა სრული სია, საკონტაქტო ტელეფონებისა და მისამართების მითითებით. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს სისტემატურ განახლებას სასწავლო დაწესებულების სამეცნიერო, სასწავლო, საწარმოო კავშირებისა და კურსდამთავრებულების გამოყენებით.

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ბიზნეს ადმინისტრირების, სამართლის, ჯანდაცვის და ფილოლოგიის მიმართულებები არის ერთ-ერთი პრიორიტეტული და ამ დარგების მიმართულებით განვითარების ძირითადი ასპექტია- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთასაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებას. 2018წლის ოქტომბერში, აღნიშნული მიმართულებებით დარში საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესწავლის მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა არსებულ საგანმანათლებლო ბაზარზე არნიშნული მიმართულებებით პროგრამაზე მოთხოვნის შესწავლა და არსებული არსებული მდგომარეობის შედეგების საფუძველზე მოქმედი პროგრამის მოდიფიცირება. სასწავლო პროცესის რეგულირების და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლა ადგილობრივ საგანმანათლებლო ბაზარზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის კონკურენტუნარიანობა, გაანალიზდა შპს თბილისის დავით აღმასენებლის სასწავლო უნივერსიტეტის არსებული რესურსები და პრიორიტეტულობა აღნიშნული მიმართულებებით პროგრამების მოდიფიცირების მხრივ და დასახა კონკრეტული ღონისძიებები.

- მოხდა იდენტიფიცირება, გამოიკითხა აღნიშნული მიმართულებებით სტუდენტები რომლებმ ირიცხება მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე და გამოიკვეთა მათი ინტერესები. შესწავლილ იქნა საქართველოს მასშტაბით 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები.

- შესწავლილ იქნა საბაკალავრო , სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ევროპის ქვეყნების წარმატებული პრაქტიკა;

კვლევის შედეგი:

შრომით ბაზარზე წარმოდგენილი სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მიმართულებით საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები აგებულია დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით სადაც ძირითადი აქცენტები საერთოა. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის დროს, მნიშვნელოვანი ყურადღება საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების ფორმასა და არჩევანზე ძირითად გავლენას არა პროგრამის თავისებურება, არამედ სასწავლო უნივერსიტეტის პრესტიჟულობა. მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი მხარეები რომელიმე სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში აშკარად გამოკვეთილი არ არის. ამასთანავე რამდენიმე უნივერსიტეტის მაგალითზე, არსებობს შემდეგი სახის წარმატებული მაგალითები:

- სასწავლო უნივერსიტეტების უმრავლესობა სთავაზობს მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მცირე ნაწილი სთავაზობს სავალდებულო პრაქტიკას. თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში ორივე მნიშვნელოვანია;
- ძალიან მცირეა სასწავლო უნივერსიტეტების რაოდენობა, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობენ გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებს, აღნიშნული მიმართულებით კი მოთხოვნა დიდია. ასეთი პროგრამები შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მუშაობს აღნიშნული მიმართულებით;
- გაანალიზდა დამსაქმებლების მოთხოვნები. მათი უმრავლესობა აქცენტს აკეთებს კარგად განვითარებულ კომუნიკაციის უნარებზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე. დამსაქმებლების უმრავლესობა დასაქმებისათვის აუცილებელ პირობად აწესებს უცხო ენის (უმეტესწილად ინგლისური ენის) სრულყოფილად ცოდნას;
- დასაქმებისათვის მიმდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება იძლევა- აკადემიური ხარისხი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის უზრუნველყოფას, რასაც ადასტურებს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის დასაქმების მაჩვენებელი. რაც მიმდინარე პროგრამის არსებობის აუცილებლობას ადასტურებს.

2. რეკომენდაციები:

გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები ამზადებს სპეციალისტებს, რომელიც ფლობს სფეროს ფართო ცოდნას, მისთვის დამახასიათებელი და ზოგიერთი სხვა მეთოდით პრობლემების გადაჭრის, ეფექტური კომუნიკაციის და წერილობითი ანგარიშის მომზადების, სწავლის, ღირებულებების ფორმირებაში და დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღების უნარებს. ბუნებრივია, რომ აღნიშნული უნარები ვერ გამოიყენება სწავლების შესაბამისი ეფექტური და თანამედროვე მეთოდების გამოყენების გარეშე, რაც ასახული და დახვეწილი უნდა იყოს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში.

მნიშვნელოვანია, სტუდენტმა შეძლოს პირველადი წყაროების ანალიზი, თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების გამოიყენება, კვლევის დამოუკიდებელი ანალიზი და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა. მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში. პროგრამების განახლებისათვის აუცილებელია შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილება და რესურსების სრულყოფა, ამ მხრივ, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- აკადემიური პერსონალის საკადრო პოლიტიკის სწორი გატარება და მაღალკვალიფიცირებული აკადემიური პერსონალის შერჩევა;
- სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელება და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება;
- მიმართულებების მიხედვით ახალი კლასიფიკატორის თანახმად აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად მოქმედ პროგრამებში საჭირო ცვლილებების შეტანა და ინფორმაციული სრულყოფა;
- ახალი პარტნიორების მოზიება, მემორანდუმების გაფორმება და საწარმოო პრაქტიკების პროგრამების სრულყოფა ევროპული სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინება;
- სასწავლო უნივერსიტეტის საგრანტო პროგრამებში ჩართვა და სტუდენტთა ინტერნაციონალიზაცია;
- სტანდარტების შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის სრულყოფა.